სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 14
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 15
5. წმინდა საპროცენტო შემოსავლები 20
6. კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი 20
7. ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები 22
8. სხვა შემოსავალი 22
9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 23
10. მოგების გადასახადის ხარჯი და გადავადებული საგადასახადო აქტივი 23
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 25
12. გაცემული სესხები 25
13. სხვა აქტივები 28
14. არამატერიალური აქტივები 29
15. იჯარები 30
16. ძირითადი საშუალებები 31
17. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები 32
18. სხვა ვალდებულებები 34
19. სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი და სხვა რეზერვი 35
20. წინა პერიოდის შეცდომა 36
21. პოტენციური ვალდებულებები 36
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 37
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38
24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 38

მმართველობის ანგარიშგება 52

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" ხელმძღვანელობასა და აქციონერებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" (შემდგომში - „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვავთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-720718)**

გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო

14 ივნისი, 2023 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" ხელმძღვანელობასა და აქციონერებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" (შემდგომში - „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვავთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-720718)**

გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო

14 ივნისი, 2023 წელი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021*
საპროცენტო შემოსავალი	5	6,104,413	6,927,500
საპროცენტო ხარჯი	5	(3,646,900)	(4,286,390)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**2,457,513**	**2,641,110**
გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ცვლილება	6	(1,564,556)	(890,163)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდგომ		**892,957**	**1,750,947**
ჯარიმები და საკომისიო შემოსავალი	7	263,708	308,941
სხვა შემოსავალი	8	20,804	2,318,142
პერსონალის ხარჯი		(2,699,597)	(2,863,090)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(811,741)	(894,523)
ცვეთა და ამორტიზაცია	14, 15, 16	(649,812)	(767,314)
დასაკუთრებული ქონების ცვლილება, წმინდა	13	(280,614)	152,931
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	18	(1,080,462)	(241,971)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება, წმინდა		1,115,611	101,627
ზარალი დაბეგვრამდე		**(3,229,146)**	**(134,310)**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(326,180)
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(3,229,146)**	**(460,490)**

*გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 14 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გ. სამადაშვილი

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	**2022**	**2021***
საპროცენტო შემოსავალი	5	6,104,413	6,927,500
საპროცენტო ხარჯი	5	(3,646,900)	(4,286,390)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**2,457,513**	**2,641,110**
გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ცვლილება	6	(1,564,556)	(890,163)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდგომ		**892,957**	**1,750,947**
ჯარიმები და საკომისიო შემოსავალი	7	263,708	308,941
სხვა შემოსავალი	8	20,804	2,318,142
პერსონალის ხარჯი		(2,699,597)	(2,863,090)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(811,741)	(894,523)
ცვეთა და ამორტიზაცია	14, 15, 16	(649,812)	(767,314)
დასაკუთრებული ქონების ცვლილება, წმინდა	13	(280,614)	152,931
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	18	(1,080,462)	(241,971)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება, წმინდა		1,115,611	101,627
ზარალი დაბეგვრამდე		**(3,229,146)**	**(134,310)**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(326,180)
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(3,229,146)**	**(460,490)**

*გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 14 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გ. სამადაშვილი

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021*
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	602,646	407,298
გაცემული სესხები	12	18,021,974	20,199,683
სხვა აქტივები	13	5,474,949	6,631,193
არამატერიალური აქტივები	14	302,454	284,422
აქტივების გამოყენების უფლება	15	1,056,447	937,426
ძირითადი საშუალებები	16	175,452	259,525
მთლიანი აქტივები		**25,633,922**	**28,719,547**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	14,848,271	19,172,428
სუბორდინირებული სესხები	17	3,006,470	-
საიჯარო ვალდებულებები	15	1,095,007	1,070,491
სხვა ვალდებულებები	18	1,393,638	1,484,130
მთლიანი ვალდებულებები		**20,343,386**	**21,727,049**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	6,145,568	5,506,503
საემისიო კაპიტალი	19	5,827,501	5,827,501
სხვა რეზერვი	19	1,603,720	715,601
დაგროვილი ზარალი		(8,286,253)	(5,057,107)
მთლიანი კაპიტალი		**5,290,536**	**6,992,498**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**25,633,922**	**28,719,547**

*გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა.

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	**საემისიო კაპიტალი**	**სხვა რეზერვი**	**დაგროვილი ზარალი**	**სულ**
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	**1,815,568**	**5,827,501**	**-**	**(4,596,617)**	**3,046,452**
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 17)	3,690,935	-	-	-	**3,690,935**
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	(460,490)	**(460,490)**
სესხების რესტრუქტურიზაციის შედეგად დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი (შენიშვნა 17)	-	-	715,601	-	**715,601**
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	**5,506,503**	**5,827,501**	**715,601**	**(5,057,107)**	**6,992,498**
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 18)	639,065	-	-	-	**639,065**
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	(3,229,146)	**(3,229,146)**
სესხების რესტრუქტურიზაციის შედეგად დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი (შენიშვნა 17)	-	-	888,119	-	**888,119**
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	**6,145,568**	**5,827,501**	**1,603,720**	**(8,286,253)**	**5,290,536**

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	**(3,229,146)**	**(134,310)**
კორექტირებები		
სესხების გაუფასურების ხარჯი	1,564,556	890,163
ცვეთა და ამორტიზაცია	649,812	767,314
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება, წმინდა	(1,115,611)	(101,627)
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	1,080,462	241,971
დასაკუთრებული ქონების ცვლილება, წმინდა	280,614	(152,931)
საპროცენტო შემოსავალი	(6,104,413)	(6,927,500)
საპროცენტო ხარჯი	3,646,900	4,286,390
სესხების რესტრუქტურიზაციიდან მიღებული სარგებელი	-	(2,300,078)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე	**(3,226,826)**	**(3,430,608)**
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:		
გაცემული სესხები	956,396	4,984,249
სხვა აქტივები	868,958	(496,991)
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული თანხები	-	5,554,207
სხვა ვალდებულებები	(524,934)	828,041
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე მოგების გადასახადსა და პროცენტამდე	**(1,926,406)**	**7,438,898**
გადახდილი პროცენტები საიჯარო ვალდებულებებზე	(60,408)	(106,257)
გადახდილი პროცენტები მიღებულ სესხებზე და ფორვარდის ხელშეკრულებებზე	(3,022,986)	(3,795,190)
მიღებული პროცენტები	5,648,809	6,827,256
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**639,009**	**10,364,707**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(28,560)	(29,680)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(85,932)	(20,295)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(114,492)**	**(49,975)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება (დაფარვა), წმინდა	2,276,211	(10,553,432)
საიჯარო ვალდებულებბეის ძირის დაფარვა	(497,204)	(501,510)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**1,779,007**	**(11,054,942)**
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	**2,303,524**	**(740,210)**
ფულის და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	**407,298**	**2,727,013**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(2,108,176)	(1,579,505)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	**602,646**	**407,298**

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი (შემდეგ - „კომპანია") წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წელს თბილისში, საქართველო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206238800.

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" კანონის საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა 100,000 ლარამდე სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: აგრო სესხები, ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები და სალომბარდე სესხები.

კომპანიას გააჩნდა ექვსი და შვიდი სერვის ცენტრი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სანდრო ეულის 7.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

აქციონერები	აქციების რაოდენობა 2022	ტიპი	31 დეკემბერი 2022, %	სააქციო კაპიტალი ლარი
დოქტორი ვულფკენ იორგი	1,737,496	ჩვეულებრივი	28.28%	1,737,496
შპს ფრაუენფინანცტროიპანდ	1,089,832	ჩვეულებრივი	17.74%	1,089,832
გერტ ვარნეკე	907,855	ჩვეულებრივი	14.78%	907,855
დოქტორი ნორბერტ კრანცი	867,548	ჩვეულებრივი	14.12%	867,548
თომას შიფლერი	814,074	ჩვეულებრივი	13.25%	814,074
10% ნაკლები წილის მფლობელი აქციონერები	728,763	ჩვეულებრივი	11.83%	728,763
	6,145,568		**100.00%**	**6,145,568**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

აქციონერები	აქციების რაოდენობა 2021	ტიპი	31 დეკემბერი 2021, %	სააქციო კაპიტალი ლარი
დოქტორი ვულფკენ იორგი	1,737,496	ჩვეულებრივი	31.57%	1,737,496
შპს ფრაუენფინანცტროიპანდ	1,089,832	ჩვეულებრივი	19.80%	1,089,832
დოქტორი ნორბერტ კრანცი	867,548	ჩვეულებრივი	15.76%	867,548
თომას შიფლერი	814,074	ჩვეულებრივი	14.79%	814,074
10% ნაკლები წილის მფლობელი აქციონერები	997,553	ჩვეულებრივი	18.08%	997,553
	5,506,503		**100.00%**	**5,506,503**

კომპანიის სააქციო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 20-ე შენიშვნაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი). ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაში.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია განიცდის გარკვეულ ფინანსურ სირთულეებს ბოლო წლებში აკუმულირებული ზარალების სახით.

ამ გარემოების მიუხედავად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება მიზანშეწონილია კომპანიისთვის შემდეგი გარემოებების გამო:

- 2023 წლის აპრილში კომპანიამ სს „საქართველოს ბანკთან" გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 500,000 ლარის ოდენობით. შედეგად, კომპანიას შეუძლია ლარის კურსის გამყარებით გამოწვეული ლიკვიდობის სხვაობის შემცირების დარეგულირება.
- 2022 წლის დეკემბერში კომპანიამ საერთაშორისო მსესხებლებისგან ორი სახელშეკრულებო მაჩვენებლის პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი მიიღო.
- კომპანიამ 2023 წლის იანვარში ხელი მოაწერა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულების ცვლილებას ინსტიტუციური მსესხებლების ჯგუფთან (იხილეთ შენიშვნა 23), რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე მიღებული სესხების პროცენტის შემცირებას 1%-მდე 2023 წლისთვის. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა კომპანიის პერსპექტივები და 2023 წლისთვის დაიზოგება მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები ნაკლებ გადახდილი საპროცენტო ხარჯის სახით.
- 2022 წლის დეკემბერში აქციონერთა სესხები გადაკონვერტირდა სუბორდინირებულ სესხებად, ჯამში 3 მილიონი ლარის მოცულობით. მათი საპროცენტო განაკვეთი 2023 წლისთვის განისაზღვრა 0%-ით, რაც, აუმჯობესებს კომპანიის ლიკვიდობის პერსპექტივას.
- კომპანია აქტიურად აგრძელებს დასაკუთრებული ქონებების გაყიდვას. 2022 წლისთვის გაყიდვებიდან შემოსულმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 1.3 მილიონზე მეტი, ხოლო 2023 წლის მაისის ბოლოსთვის კომპანია კვალდაკვალ მიყვება მის მიერ დამტკიცებულ გაყიდვების გეგმას.
- 2022 წლის ოქტომბერში კომპანიაში ჩაეშვა სესხების გაცემის პროგრამული უზრუნველყოფა, რამაც შეამცირა დაკრედიტების პროცესებისა და სასესხო პორტფელის მართვის ხარჯები.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს აღნიშნული აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

კომპანიის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და მოხდა ძალაში შესვლის თარიღის გადავადება.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის" „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით". მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები" ან „გადახედილი საიჯარო გადასახდელები", რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის" მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კომპანიის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოცემულ სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება - ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი;
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით;
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევნის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სფეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულებების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება - ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები არის შემდეგი:

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	602,646	407,298
გაცემული სესხები	18,021,974	20,199,683
მიღებული სესხები	14,848,271	19,172,428
სუბორდინირებული სესხები	3,006,470	-
სხვა ვალდებულებები	823,330	1,252,273
საიჯარო ვალდებულება	1,095,007	1,070,491

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
  - სავალუტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო–ს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანია იყენებს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- საკრედიტო კომიტეტის დავალებები;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- ისეთ სესხებთან მუშაობა, რომელთა სახელშეკრულებო პირობები დაირღვა.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაიყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისო–ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსებისა, თუ არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების შესაბამისი (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი და მისი საქმიანობის შესწავლა ამცირებს ფინანსური ზარალის რისკს. მონიტორინგს ახორციელებენ კრედიტ ოფიცრები, რომლებიც ხელმძღვანელობასთან არიან ანგარიშვალდებულნი. კომპანია არ იყენებს მონიტორინგის მკაცრად განსაზღვრულ გრაფიკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	481,060	308,880
გაცემული სესხები	18,021,974	20,199,683
	18,503,034	**20,508,563**

კომპანიის საკრედიტო განყოფილება რეგულარულად აკეთებს სესხების ვადიანობის ანალიზს. ხელმძღვანელობას მართებულად მიაჩნია ვადიანობის ანალიზის და სხვა საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა ისეთი სახით, როგორც წარდგენილია მე-12 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ.

კომპანიის ყველა საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტს გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები *	247,646	7,446	347,554	**602,646**
გაცემული სესხები **	17,647,678	358,468	15,828	**18,021,974**
სულ ფინანსური აქტივები	**17,895,324**	**365,914**	**363,382**	**18,624,620**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	266,975	7,620,641	6,960,655	**14,848,271**
სუბორდინირებული სესხები	-	900,938	2,105,532	**3,006,470**
საიჯარო ვალდებულებები	-	1,095,007	-	**1,095,007**
სხვა ვალდებულებები	113,708	-	-	**113,708**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**380,683**	**9,616,586**	**9,066,187**	**19,063,456**
ღია საბალანსო პოზიცია	**17,514,641**	**(9,250,672)**	**(8,702,805)**	**(438,836)**

*	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
შეზღუდული ფული ბანკში	-	-	2,267,882	**2,267,882**
სესხები უზრუნველყოფილი შეზღუდული ფულით	2,269,994	-	-	**2,269,994**
ფორვარდული გარიგება	-	8,877,554	6,531,595	**15,409,149**
**				
გაცემული სესხები გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	21,595,191	600,719	38,397	**22,234,307**
გაუფასურების რეზერვი	(3,947,513)	(242,251)	(22,569)	**(4,212,333)**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები *	285,018	19,078	103,202	**407,298**
გაცემული სესხები **	19,426,599	759,219	13,865	**20,199,683**
სულ ფინანსური აქტივები	**19,711,617**	**778,297**	**117,067**	**20,606,981**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	107,575	9,760,507	9,304,346	**19,172,428**
საიჯარო ვალდებულებები	-	1,070,491	-	**1,070,491**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**107,575**	**10,830,998**	**9,304,346**	**20,242,919**
ღია საბალანსო პოზიცია	**19,604,042**	**(10,052,701)**	**(9,187,279)**	**364,062**

*	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
შეზღუდული ფული ბანკში	-	-	9,390,720	**9,390,720**
სესხები უზრუნველყოფილი შეზღუდული ფულით	9,525,718	-	-	**9,525,718**
ფორვარდული გარიგება	-	8,965,522	-	**8,965,522**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

**	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
გაცემული სესხები გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	23,852,517	1,152,955	41,571	**25,047,043**
გაუფასურების რეზერვი	(4,446,338)	(374,773)	(26,249)	**(4,847,360)**

*დეტალური ინფორმაცია შეზღუდულ ფულსა და მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად ბანკში ჩადებულ თანხებზე მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ცნობილი უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	**+20%**	**-20%**	**+20%**	**-20%**
აშშ დოლარის ეფექტი	(74,624)	74,624	(217,436)	217,436
ევროს ეფეტი	19,334	(19,334)	40,688	(40,688)
მთლიანი წმინდა ეფექტი	**(55,290)**	**55,290**	**(176,748)**	**176,748**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 თვემდე	1-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	5 წელი და მეტი	სულ
მიღებული სესხები	186,175	164,810	741,699	11,748,928	3,474,056	-	**16,315,668**
სუბორდინირებული სესხები				73,371	575,797	4,290,595	**4,939,763**
საიჯარო ვალდებულება	33,094	66,188	303,923	405,231	405,231	-	**1,213,667**
სხვა ვალდებულებები	823,330	-	-	-	-	-	823,330
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,042,599**	**230,998**	**1,045,622**	**12,227,530**	**4,455,084**	**4,290,595**	**23,292,428**

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 თვემდე	1-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	117,706	143,768	1,611,358	1,346,920	20,490,324	**23,710,076**
საიჯარო ვალდებულებები	47,619	95,238	428,571	571,428	-	**1,142,856**
სხვა ვალდებულებები	1,010,302	-	-	-	-	**1,010,302**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,175,627**	**239,006**	**2,039,929**	**1,918,348**	**20,490,324**	**25,863,234**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. საუკეთესო მტკიცება რეალური ღირებულებისა არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე.

კომპანიას გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები - „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით". აქედან გამომდინარე ისინი არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური აქტივების და ვალდებულების რეალური ღირებულება ახლოსაა მათ საბალანსო ღირებულებასთან.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკისა და მსესხებლების მოთხოვნები კაპიტალთან მიმართებაში; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანია თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ საწესდებო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან 1,000,000 ლარის ოდენობით, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

5. წმინდა საპროცენტო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებულ ფინანსურ აქტივებზე:		
გაცემული სესხები	6,094,015	6,907,192
ბანკის ანგარიშები	10,398	20,308
სულ საპროცენტო შემოსავალი	**6,104,413**	**6,927,500**
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები	(2,539,462)	(3,147,405)
უცხოურ ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების ხარჯი	(1,047,030)	(1,032,728)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(60,408)	(106,257)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(3,646,900)**	**(4,286,390)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**2,457,513**	**2,641,110**

6. კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯის მოძრაობა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
1 იანვარი 2022	**507,453**	**749,466**	**3,590,441**	**4,847,360**
ახალი გაცემული სესხები	418,013	-	-	**418,013**
გადატანა პირველ ეტაპზე	67,165	(42,549)	(24,616)	**-**
გადატანა მეორე ეტაპზე	(808,287)	872,498	(64,211)	**-**
გადატანა მესამე ეტაპზე	(24,616)	(1,781,875)	1,806,491	**-**
დაფარული სესხები	(309,592)	(123,645)	(1,438,948)	**(1,872,185)**
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,300,790)	**(2,300,790)**
ამოღება	-	-	101,207	**101,207**
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	576,121	911,491	1,531,116	**3,018,728**
31 დეკემბერი 2022	**426,257**	**585,386**	**3,200,690**	**4,212,333**

6. კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯის მოძრაობა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
1 იანვარი 2021	**512,105**	**1,171,488**	**3,295,593**	**4,979,186**
ახალი გაცემული სესხები	536,054	-	-	**536,054**
გადატანა პირველ ეტაპზე	106,263	(94,521)	(11,742)	**-**
გადატანა მეორე ეტაპზე	(1,226,297)	1,305,043	(78,746)	**-**
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(2,361,299)	2,361,299	**-**
დაფარული სესხები	(414,882)	(374,827)	(1,730,414)	**(2,520,123)**
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,155,066)	**(1,155,066)**
ამოღება	-	-	133,077	**133,077**
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	994,210	1,103,582	776,440	**2,874,232**
31 დეკემბერი 2021	**507,453**	**749,466**	**3,590,441**	**4,847,360**

სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
1 იანვარი 2022	**13,111,888**	**5,359,729**	**6,575,426**	**25,047,043**
ახალი გაცემული სესხები	18,864,864	-	-	**18,864,864**
გადატანა პირველ ეტაპზე	1,019,382	(675,254)	(344,128)	**-**
გადატანა მეორე ეტაპზე	(3,502,228)	4,015,067	(512,839)	**-**
გადატანა მესამე ეტაპზე	(344,128)	(3,370,396)	3,714,524	**-**
დაფარული სესხები	(17,173,932)	(1,681,384)	(633,854)	**(19,489,170)**
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,300,791)	**(2,300,791)**
ჩამოწერილი სესხებია ამოღება	-	-	-	**-**
საკურსო სხვაობის ეფექტი	50,548	26,888	34,925	**112,361**
31 დეკემბერი 2022	**12,026,394**	**3,674,650**	**6,533,263**	**22,234,307**

6. კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი (გაგრძელება)

სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
1 იანვარი 2021	**17,427,103**	**8,010,940**	**5,590,281**	**31,028,324**
ახალი გაცემული სესხები	11,618,086	-	-	**11,618,086**
გადატანა პირველ ეტაპზე	2,062,747	(1,800,349)	(262,398)	**-**
გადატანა მეორე ეტაპზე	(5,770,562)	6,423,711	(653,149)	**-**
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(3,946,520)	3,946,520	**-**
დაფარული სესხები	(12,228,303)	(3,364,841)	(622,511)	**(16,215,655)**
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,459,000)	**(1,459,000)**
საკურსო სხვაობის ეფექტი	2,817	36,788	35,683	**75,288**
31 დეკემბერი 2021	**13,111,888**	**5,359,729**	**6,575,426**	**25,047,043**

7. ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები

ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები მოიცავს სესხის ადრე დაფარვის საკომისიოებს, ჯარიმებსა და სხვა მომსახურების საკომისიოებს, რომლებმაც 2022 და 2021 წლებში შეადგინა 263,708 ლარი და 308,941 ლარი, შესაბამისად.

8. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
რესტრუქტურიზაციის შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი*	-	2,300,078
იჯარის მოდიფიკაციის შედეგი	5,458	18,064
სხვა	15,346	-
	20,804	**2,318,142**

*მიღებულ სესხებზე რესტრუქტურიზაციის შეთანხმების შედეგად მიღებული სარგებლის დეტალებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ მე-17 შენიშვნაში.

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
პროფესიონალური მომსახურების ხარჯი*	(199,656)	(198,185)
პროგრამის მხარდაჭერა	(99,977)	(42,900)
კომუნალური ხარჯი	(81,208)	(87,759)
საკომუნიკაციო ხარჯი	(79,814)	(76,796)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(70,870)	(81,192)
სამეურნეო და ოფისის ხარჯები	(64,039)	(106,171)
მივლინების ხარჯი	(61,449)	(42,788)
საწვავი	(50,413)	(39,768)
სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯი	(46,624)	(63,845)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(30,284)	(58,704)
საკანცელარიო ხარჯი	(14,406)	(22,046)
სხვა ხარჯი	(13,001)	(74,369)
	(811,741)	**(894,523)**

*აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2022 წელს შეადგინა 43,653 ლარი (2021: 44,326 ლარი).

10. მოგების გადასახადის ხარჯი და გადავადებული საგადასახადო აქტივი

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს საფინანსო სფეროში მოღვაწე კომპანიებზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

ასევე, სსკ-ის 98-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის განაკვეთს, დაემატა ახალი მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება დაიბეგრება 20 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ დაბეგვრა მოხდება მოგების ე.წ. ძველი რეჟიმის თანახმად, შეიცვალა საფინანსო სფეროსთვის სსკ-ით განსაზღვრული შემოსავლისა და ხარჯის აღიარების პრინციპები, კერძოდ, სსკ-ის 141-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს დარიცხვის მეთოდით შემოსავლის მიღების მომენტს, დაემატა ახალი მე-5 ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან საბანკო დაწესებულებამ, საკრედიტო კავშირმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სესხებზე დარიცხული პროცენტები შემოსავლად უნდა აღიაროს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. რაც შეეხება გაცემულ სესხებზე რეზერვების გამოქვითვას, სსკ-ის განახლებული 109-ე მუხლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული პირები ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს გამოიქვითავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა.

ზემოაღნიშნულ ცვლილებებს კომპანიაზე არ ჰქონია გავლენა, რადგანაც 2021 წლის ბოლოს კომპანიამ სრულად ჩამოწერა საგადასახადო აქტივი. კომპანიის შეფასებით, არსებითი საგადასახადო ზარალების გამო იგი ვერ შეძლებდა გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას.

10. მოგების გადასახადის ხარჯი და გადავადებული საგადასახადო აქტივი (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021
1 იანვარი	**326,180**
აღიარებული მოგებაში ან ზარალში	
მოგების გადასახადის სარგებელი	153,017
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(479,197)
31 დეკემბერი	**-**

დროებითი სხვაობები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	მოგება ზარალში ასახვა
	2021	2021	2021	2021
გაცემული სესხები	255,802	-	255,802	(47,207)
აქტივების გამოყენების უფლება	-	(140,614)	(140,614)	78,061
სხვა აქტივები	-	(32,937)	(32,937)	(2,133)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	(33,367)	(33,367)	17,571
მიღებული სესხები	-	(65,759)	(65,759)	(106,109)
საიჯარო ვალდებულებები	160,574	-	160,574	(117,232)
სხვა ვალდებულებები	21,822	-	21,822	16,390
საგადასახადო ზარალი	833,483	-	833,483	313,676
სულ დროებითი სხვაობები	**1,271,681**	**(272,677)**	**999,004**	**153,017**
აუღიარებელი საგადასახადო აქტივი				
გაცემული სესხები	(165,521)		(165,521)	(165,521)
საგადასახადო ზარალი	(833,483)	-	(833,483)	(313,676)
სულ აუღიარებელი საგადასახადო აქტივი	**(999,004)**	**-**	**(999,004)**	**(479,197)**
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**272,677**	**(272,677)**	**-**	**(326,180)**

მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021
მიმდინარე გადასახადი	-
გადავადებული საგადასახადო აქტივების გაუქმება	(479,197)
დროებითი სხვაობების ეფექტი	153,017
	(326,180)

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის:

	2021
მოგება დაბეგვრამდე	**(134,310)**
მოგების გადასახადის პროცენტი	15%
თეორიული მოგების გადასახადი	20,147
აუღიარებელი საგადასახადო ზარალი	(479,197)
მუდმივი სხვაობების წარმოქმნა და ამობრუნება	132,870
	(326,180)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული	121,586	98,418
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	148,546	205,678
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	332,514	103,202
	602,646	**407,298**

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

12. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ძირი	20,054,073	22,608,863
პროცენტი	2,180,234	2,438,180
გაუფასურების ანარიცხი	(4,212,333)	(4,847,360)
	18,021,974	**20,199,683**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

		ECL					
31 დეკემბერი 2022	**მთლიანი თანხა**	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**მთლიანი ECL**	**სესხები (ნეტო)**	**ECL %**
აგრო სესხები	12,834,001	(220,832)	(389,706)	(1,899,025)	(2,509,563)	10,324,438	19.55%
ბიზნესს სესხები	7,643,740	(193,108)	(165,150)	(1,186,396)	(1,544,654)	6,099,086	20.21%
სამომხმარებლო სესხები	1,697,313	(12,317)	(30,530)	(115,269)	(158,116)	1,539,197	9.32%
სალომბარდო სესხები	59,253	-	-	-	-	59,253	0.00%
	22,234,307	**(426,257)**	**(585,386)**	**(3,200,690)**	**(4,212,333)**	**18,021,974**	**18.95%**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

		ECL					
31 დეკემბერი 2021	**მთლიანი თანხა**	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**მთლიანი ECL**	**სესხები (ნეტო)**	**ECL %**
აგრო სესხები	14,853,060	(203,985)	(379,378)	(2,194,806)	(2,778,169)	12,074,891	18.70%
ბიზნესს სესხები	8,609,953	(286,718)	(322,314)	(1,203,664)	(1,812,696)	6,797,257	21.05%
სამომხმარებლო სესხები	1,500,668	(16,750)	(47,774)	(191,971)	(256,495)	1,244,173	17.09%
სალომბარდო სესხები	83,362	-	-	-	-	83,362	0.00%
	25,047,043	**(507,453)**	**(749,466)**	**(3,590,441)**	**(4,847,360)**	**20,199,683**	**19.35%**

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია სესხების გაუფასურების მოძრაობაზე მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ინფორმაცია გაცემული სესხების ვალუტის შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

გაცემული სესხების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან.

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის სახეების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

აგრო სესხები

31 დეკემბერი 2022	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	7,588,204	351,240	7,939,444	(364,534)	7,574,910	4.59%
-30 დღე ვადაგადაცილება	508,247	40,574	548,821	(55,698)	493,123	10.15%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	229,379	31,391	260,770	(52,913)	207,857	20.29%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	374,797	80,472	455,271	(137,393)	317,878	30.18%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	2,763,814	865,881	3,629,695	(1,899,025)	1,730,670	52.32%
	11,464,441	**1,369,558**	**12,834,001**	**(2,509,563)**	**10,324,438**	**19.55%**

ბიზნესს სესხები

31 დეკემბერი 2022	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	4,718,556	127,752	4,846,308	(257,554)	4,588,754	5.31%
-30 დღე ვადაგადაცილება	571,995	49,814	621,809	(74,403)	547,406	11.97%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	65,801	2,522	68,323	(15,324)	52,999	22.43%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	79,977	8,891	88,868	(10,977)	77,891	12.35%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,519,297	499,135	2,018,432	(1,186,396)	832,036	58.78%
	6,955,626	**688,114**	**7,643,740**	**(1,544,654)**	**6,099,086**	**20.21%**

სამომხმარებლო სესხები

31 დეკემბერი 2022	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	1,205,023	27,331	1,232,354	(35,698)	1,196,656	2.90%
-30 დღე ვადაგადაცილება	72,121	3,494	75,615	(2,925)	72,690	3.87%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	7,782	244	8,026	(738)	7,288	9.20%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	19,198	439	19,637	(3,487)	16,150	17.76%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	270,907	90,774	361,681	(115,268)	246,413	31.87%
	1,575,031	**122,282**	**1,697,313**	**(158,116)**	**1,539,197**	**9.32%**

სალომბარდო სესხები

31 დეკემბერი 2022	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	58,973	280	59,253	-	59,253	0.00%
	58,973	**280**	**59,253**	**-**	**59,253**	**0.00%**

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის სახეების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

აგრო სესხები

31 დეკემბერი 2021	*ძირი*	*პროცენტი*	*მთლიანი თანხა*	*ECL*	*სესხები (ნეტო)*	*ECL %*
-არა ვადაგადაცილებული	8,932,353	358,802	9,291,155	(440,390)	8,850,765	4.74%
-30 დღე ვადაგადაცილება	537,668	40,705	578,373	(57,406)	520,967	9.93%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	192,810	30,944	223,754	(35,101)	188,653	15.69%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	317,098	70,897	387,995	(50,467)	337,528	13.01%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	3,156,219	1,215,564	4,371,783	(2,194,805)	2,176,978	50.20%
	13,136,148	**1,716,912**	**14,853,060**	**(2,778,169)**	**12,074,891**	**18.70%**

ბიზნეს სესხები

31 დეკემბერი 2021	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	5,548,583	119,166	5,667,749	(437,743)	5,230,006	7.72%
-30 დღე ვადაგადაცილება	726,213	53,499	779,712	(123,300)	656,412	15.81%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	60,563	21,624	82,187	(19,404)	62,783	23.61%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	156,899	17,186	174,085	(28,585)	145,500	16.42%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,523,052	383,168	1,906,220	(1,203,664)	702,556	63.14%
	8,015,310	**594,643**	**8,609,953**	**(1,812,696)**	**6,797,257**	**21.05%**

სამომხმარებლო სესხები

31 დეკემბერი 2021	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	759,523	11,860	771,383	(28,174)	743,209	3.65%
-30 დღე ვადაგადაცილება	272,960	23,813	296,773	(26,512)	270,261	8.93%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	12,010	523	12,533	(1,814)	10,719	14.47%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	56,158	979	57,137	(8,024)	49,113	14.04%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	275,107	87,735	362,842	(191,971)	170,871	52.91%
	1,375,758	**124,910**	**1,500,668**	**(256,495)**	**1,244,173**	**17.09%**

სალომბარდო სესხები

31 დეკემბერი 2021	ძირი	პროცენტი	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	22,741	358	23,099	-	23,099	0.00%
-30 დღე ვადაგადაცილება	58,906	1,357	60,263	-	60,263	0.00%
	81,647	**1,715**	**83,362**	**-**	**83,362**	**0.00%**

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
უზრუნველყოფილი სესხები	12,423,753	(3,138,631)	9,285,122	25.26%
არაუზრუნველყოფილი სესხები	9,810,554	(1,073,702)	8,736,852	10.94%
	22,234,307	**(4,212,333)**	**18,021,974**	**18.95%**

უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
უზრუნველყოფილი სესხები	18,194,910	(4,170,491)	14,024,419	22.92%
არაუზრუნველყოფილი სესხები	6,852,133	(676,869)	6,175,264	9.88%
	25,047,043	**(4,847,360)**	**20,199,683**	**19.35%**

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ, უზრუნველყოფის სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

უზრუნველყოფის სახეები	**31 დეკემბერი 2022**	**31 დეკემბერი 2021**
უძრავი ქონება	7,096,515	7,748,039
თავდებობა	5,247,300	10,170,527
ძვირფასი სამკაულები	59,254	83,361
სატრანსპორტო საშუალებები	20,684	192,983
	12,423,753	**18,194,910**

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	**31 დეკემბერი 2021**
დასაკუთრებული ქონება*	5,416,231	6,517,167
ავანსები	145,582	152,363
სხვა	(145,582)	(138,424)
ავანსების გაუფასურება	58,718	100,087
	5,474,949	**6,631,193**

13. სხვა აქტივები (გაგრძელება)

*2022 და 2021 წლებში დასაკუთრებული ქონების საბალანსო ღირებულებაში მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	**6,517,167**	**5,837,170**
შემოსვლა	233,691	1,687,324
გასვლა	(884,066)	(749,246)
გაუფასურება	(450,561)	(258,081)
31 დეკემბერი	**5,416,231**	**6,517,167**

ცვლილებები, რომელიც წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დასაკუთრებულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
მოგება საწყისი აღიარებიდან	106,407	363,999
დასაკუთრებული ქონებების გაუფასურება	(450,561)	(258,081)
დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა	63,540	47,013
	(280,614)	**152,931**

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ბუღალტრული და სხვა პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**469,795**	**39,701**	**509,496**
შემოსვლა	17,095	3,200	**20,295**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**486,890**	**42,901**	**529,791**
შემოსვლა	84,316	1,616	**85,932**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**571,206**	**44,517**	**615,723**
დაგროვილი ამორტიზაცია			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**(170,387)**	**(8,779)**	**(179,166)**
ამორტიზაცია	(64,073)	(2,130)	**(66,203)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**(234,460)**	**(10,909)**	**(245,369)**
ამორტიზაცია	(65,436)	(2,464)	**(67,900)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**(299,896)**	**(13,373)**	**(313,269)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**252,430**	**31,992**	**284,422**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**271,310**	**31,144**	**302,454**

15. იჯარები

კომპანია საქართველოს ფარგლებში ქირაობს სათავო ოფისსა და 6 ფილიალს (2021: სათავო ოფისი და 7 ფილიალი). ამ ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია აშშ დოლარში. იჯარის ვადიანობა განსაზღვრულია 3 წლით (2021: 2 წელი). იჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2022 წლისთვის შეადგენდა წლიურ 8.02% იჯარების ვადიანობის და ვალუტის მიხედვით (2021: 7.47%-7.92%).

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	სათაო ოფისი და ფილიალები
31 დეკემბერი 2020	**1,457,836**
გასვლა	(52,086)
მოდიფიკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	123,048
ამორტიზაცია	(591,372)
31 დეკემბერი 2021	**937,426**
გასვლა	(93,868)
მოდიფიკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	694,580
ამორტიზაცია	(481,691)
31 დეკემბერი 2022	**1,056,447**

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	სათაო ოფისი და ფილიალები
31 დეკემბერი 2020	**1,852,042**
მოდიფიკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	107,925
საპროცენტო ხარჯი	106,257
საიჯარო გადასახდელები	(607,767)
იჯარის გასვლა	(57,496)
საკურსო სხვაობა	(330,470)
31 დეკემბერი 2021	**1,070,491**
მოდიფიკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	694,580
საპროცენტო ხარჯი	60,408
საიჯარო გადასახდელები	(557,612)
იჯარის გასვლა	(99,326)
საკურსო სხვაობა	(73,534)
31 დეკემბერი 2022	**1,095,007**

16. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარის კეთილმოწყობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები და კომუნიკაცია	მანქანები	სულ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**268,479**	**434,784**	**790,458**	**88,233**	**1,581,954**
შემოსვლა	-	-	29,680	-	**29,680**
გასვლა	(103,902)	-	(5,893)	-	**(109,795)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**164,577**	**434,784**	**814,245**	**88,233**	**1,501,839**
შემოსვლა	-	9,271	19,289	-	**28,560**
გასვლა	-	-	-	(36,200)	**(36,200)**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**164,577**	**444,055**	**833,534**	**52,033**	**1,494,199**
დაგროვილი ცვეთა					
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(124,977)**	**(317,891)**	**(766,733)**	**(32,770)**	**(1,242,371)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(19,219)	(52,386)	(30,246)	(7,887)	**(109,738)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	103,902	-	5,893	-	**109,795**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(40,294)**	**(370,277)**	**(791,086)**	**(40,657)**	**(1,242,314)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(46,324)	(28,982)	(20,909)	(4,006)	**(100,221)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	23,788	**23,788**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(86,618)**	**(399,259)**	**(811,995)**	**(20,875)**	**(1,318,747)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**124,283**	**64,507**	**23,159**	**47,576**	**259,525**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**77,959**	**44,796**	**21,539**	**31,158**	**175,452**

17. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები

მიღებული სესხები მოკლევადიან და გრძელვადიან ნაწილებად შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი სესხები	379,527	245,955
გრძელვადიანი სესხები	17,475,214	18,926,473
	17,854,741	**19,172,428**

გრძელვადიანი სესხები მოიცავს დაკავშირებული მხარეებისგან (აქციონერებისგან) მიღებულ სესხებს 3,006,470 ლარის ექვივალენტის ოდენობით, ნომინირებული ევროსა და აშშ დოლარში. განახლებული ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებსაც ხელი მოეწერა 2022 წლის დეკემბერში რამდენიმე დამფუძნებლის სესხი დაკონვერტირდა სუბორდინირებულ სესხებად. საკონტრაქტო პირობები არის შეღავათიანი, იმიტომ რომ შემცირდა საპროცენტო გადასახდელები. სარგებელმა, რომელმაც შეადგინა 888,119 ლარი აღიარებული კაპიტალში სხვა რეზერვის სახით. აღნიშნული სესხების ვადიანობა განისაზღვრა 2030 წლის იანვრამდე.

სუბორდინირებული სესხები არის არაუზრუნველყოფილი სესხები, რომლებიც ნაკლებ უპირატესია, ვიდრე სხვა სესხები აქტივებისა და მოგების მოთხოვნის კუთხით. გაკოტრების შემთხვევაში აღნიშნული სესხის ძირისა და პროცენტის გადახდები ნაკლებ უპირატესია, ვიდრე სხვა კრედიტორებთან არსებული დავალიანების გადახდა.

სესხის ძირი და გადასახდელი პროცენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხის ძირი	17,475,214	18,926,473
დარიცხული პროცენტი	379,527	245,955
	17,854,741	**19,172,428**

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები	5%-8.5%	USD-EUR	13,658,465
მფლობელები	5.5%-14%	GEL-USD-EUR	4,073,520
უცხოურ ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების დარიცხული ხარჯი		USD-EUR	122,756
			17,854,741

მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები	5.5%-12%	USD-EUR	15,710,078
მფლობელები	5%-15%	GEL-USD-EUR	3,462,350
			19,172,428

კომპანიამ 2021 წელს ყველა მიღებულ სესხზე გააფორმა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კომპანიის მეწილეების ჩვეულებრივი და სუბორდინირებული სესხები ჯამში 3,690,935 ლარის ოდენობით გადაკონვერტირდა კაპიტალში.

ასევე რესტრუქტურიზაციის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები მიღებულ სესხებში:

- ყველა არა-სუბორდინირებული სასესხო ვალდებულებების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 40%-ით 2021 წლის აპრილიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე;
- კომპანიამ თითოეულ მსესხებელს ნაადრევად დაუფარა 2020 წლის 31 დეკემბერს არსებული გადაუხდელი თანხის 28%-ის ოდენობა;

17. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები (გაგრძელება)

- თითოეული სესხის დარჩენილი ძირითადი თანხების დაფარვა (წინა პუნქტში არსებული დაფარვის მიხედვით) განახლდება 2024 წლის ივნისში და უნდა დაფაროს 2025 წლის 31 მარტამდე.

მოცემული შეთანხმებიდან გამომდინარე, რამდენიმე დამფუძნებელმა და ერთმა საერთაშორისო ფონდმა კომპანიას აპატია სესხის ძირი. სასესხო ვალდებულებების ძირის პატიებით და რესტრუქტურიზაციის შეთანხმების საფუძველზე, დანარჩენ სესხებზე დასარიცხი პროცენტის შემცირებით კომპანიამ მიიღო ჯამში 3,015,679 ლარის სარგებელი (სხვა შემოსავალი და სხვა რეზერვი 2,300,078 და 715,601 ლარი, შესაბამისად).

რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით, კომპანიას აქვს რამდენიმე ფინანსური შეზღუდვა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი
- ხარჯებისა და შემოსავლების კოეფიციენტი
- უმოძრაო სესხების კოეფიციენტი
- არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის კოეფიციენტი

კომპანიის ხელმძღვანელობას მუდმივად აქვს კომუნიკაცია კრედიტორებთან აღნიშნულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. 2022 წლის ბოლოს კომპანია ვერ აკმაყოფილებდა კაპიტალის ადეკვატურობისა და ხარჯებისა და შემოსავლების კოეფიციენტებს. აღნიშნული შეზღუდვების დარღვევა დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან. კომპანიას კომუნიკაცია ჰქონდა ფინანსურ ინსტიტუტებთან და საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე მიიღო პატიების წერილი, რომლის მიხედვითაც კრედიტორები არ მოითხოვდნენ სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

2021 წლის ბოლოს კომპანია ყველა ფინანსურ შეზღუდვას აკმაყოფილებდა.

კომპანიამ 2023 წლის იანვარში ხელი მოაწერა ახალ რესტრუქტურიზაციის შეთანხმებას. დეტალებისთვის იხილეთ 23-ე შენიშვნა.

მიღებული სესხები არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	ნომინალური პროცენტით 31 დეკემბერი 2021	ეფექტური პროცენტით 31 დეკემბერი 2021
Invest in Visons GmbH on behalf of HANSAINVEST GmbH Investment for the account of IIV Mikrofinanzfonds	2,083,812	2,633,710	2,573,822
BANKIM BISTUM ESSEN eG (on behalfofKCD Mikrofinanzfonds (ETSI - Global)	2,504,582	3,042,896	2,972,544
Microfinance Enhancement Facility SA SICAV-SIF	2,125,608	2,532,740	2,467,499
GLS ALTERNATIVE INVESTMENTS SICAV-Mikrofinanzfonds	1,970,013	2,244,174	2,171,724
Triple Jump Innovation Fund B.V	1,951,772	2,263,238	2,192,825
SME Finance-Loans for Growth Fund	-	13,767	13,767
INVEST IN VISIONs GmbH	1,485,343	1,701,406	1,650,129
EMF Microfinance Fund AGmvK	490,563	564,479	546,366
MCE Social Capital	1,046,771	1,144,216	1,121,402
	13,658,464	**16,140,626**	**15,710,078**

მიღებული სესხების სავალუტო და ლიკვიდურობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

17. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებულ სესხებში (სუბორდინირებულის ჩათვლით) მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	**19,172,428**	**37,599,498**
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
მიღებული სესხები, წმინდა	2,276,211	(10,553,432)
გადახდილი პროცენტი	(1,975,956)	(2,762,462)
არა ფულადი ნაკადების მოძრაობა*		
პროცენტის დარიცხვა	2,539,462	3,147,405
კაპიტალში გადატანა	-	(3,690,935)
სარგებელი რესტრუქტურიზაციის შეთანხმებიდან	(888,119)	(3,015,679)
გადაფასება	(3,269,285)	(1,551,967)
კურსთაშორის სხვაობა	-	-
31 დეკემბერი	**17,854,741**	**19,172,428**

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კაპიტალის შესავსებად განკუთვნილი სახსრები *	-	642,147
მიღებული ავანსები**	570,308	231,857
თანამშრომლებთან არსებული ვალდებულებები	70,141	145,478
საგადასახადო ვალდებულებები***	29,223	19,542
*წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები *******		
დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები	2,112	134,998
ფორვარდული გარიგებები	678,287	241,971
სხვა ვალდებულებები	43,567	68,137
	1,393,638	**1,484,130**

* კაპიტალის შესავსებად განკუთვნილი სახსრები მოიცავდა რესტრუქტურიზაციის შეთანხმების შედეგად, კაპიტალის შესავსებად განკუთვნილ სუბორდინირებული სესხების ნაწილს, რომელიც 2021 წლის ბოლომდე ვერ დარეგისტრირდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის დროულად ვერ მიწოდების გამო. რეგისტრაციის პროცესი დასრულდა 2022 წელს და შესაბამისად აისახა კომპანიის სააქციო კაპიტალში.

** მიღებული ავანსები მოიცავს ავანსებს, რომელიც კომპანიას მიღებული აქვს წინარე ნასყიდობების საფუძველზე. დასაკუთრებული ქონების ღირებულება, რომლებზეც გაფორმებულია წინარენასყიდობის შეთანხმებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,609 ათას ლარს (2021: 695 ათას ლარს).

ავანსების რეკონსილაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022
1 იანვარი	**231,857**
ფულის გადახდა	1,352,007
გაყიდვები	(1,013,556)
31 დეკემბერი	**570,308**

18. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

*** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს ყველა საგადასახადო ვალდებულება ხაზინის ერთი უნიკალური კოდის მიხედვით. შესაბამისად, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ახდენს საკუთარი საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების გადახურვას, წარდგენის მიზნებისათვის.

*****წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*

დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები

კომპანია ადგილობრივ ბანკებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იღებს დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში და გარანტიის სახით ამავე ბანკის დეპოზიტზე ათავსებს მიღებული თანხის შესაბამის თანხას უცხოურ ვალუტაში. ასეთი კონტრაქტები კლასიფიცირებულია, როგორც დერივატივები. დასკვნა გამოტანილია შემდეგ ინდიკატორებზე დაფუძნებით:

- ისინი ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით შედიან ძალაში;
- ისინი რეგულირდება ერთი და იგივე გარიგებით;
- ისინი ერთსა და იმავე რისკთან არის დაკავშირებული;
- არ არსებობს ცხადი ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ ჩამოყალიბდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

ფორვარდული გარიგებები

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციური ვალუტისა. როდესაც კომპანიის რისკი ითვლება მნიშვნელოვნად, კომპანიის ხაზინა შევა აშშ დოლარი/ლარის ან ევრო/ლარის ფორვარდ კონტრაქტში ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან.

ფორვარდული კონტრაქტების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,800,000 დოლარსა და 2,278,400 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 2,800,000 დოლარი), რაც ნიშნავს, რომ კომპანიამ მომავალში უნდა შეიძინოს აღნიშნული ოდენობის ვალუტა 15,409,149 ლარით (2021: 8,965,522 ლარით). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილობრივ ბანკებს აქვთ კომპანიის ფორვარდული კონტრაქტების საგარანტიო თანხები დაბლოკილი ღირებულებით 644 ათასი ლარი. კომპანიის შეფასებით, აღნიშნული აქტივები და ვალდებულებები აკმაყოფილებენ გადახურვის კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, ფორვარდული კონტრაქტიდან წარმოშობილი ვალდებულება და აქტივი გადახურულია ერთმანეთთან.

წმინდა ზარალმა ფორვარდული გარიგებების რეალური ღირებულების შეფასების შედეგად შეადგინა 1,080,462 ლარი (2021: 241,971 ლარი).

19. სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი და სხვა რეზერვი

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენდა 6,145,568 და 5,506,503 ჩვეულებრივ აქციას 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, შესაბამისად.

2022 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალი გაიზარდა სუბორდინირებული ვალდებულებების სააქციო კაპიტალში კონვერტირების შედეგად ჯამში 639,065 ლარით (2021: 3,690,935 ლარით).

აქციონერების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პირველ შენიშვნაში.

საემისიო კაპიტალი ღირებულებით 5,827,501 წარმოადგენს სხვაობას სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ღირებულებასა (ნომინალური ღირებულება) და რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის.

19. სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი და სხვა რეზერვი (გაგრძელება)

სხვა რეზერვი, 1,603,720 ლარის ოდენობით, წარმოადგენს 2021 წელს რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით კომპანიის მეწილეების მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებებისა და მათზე დარიცხული პროცენტის პატიებას (715,601 ლარი) და 2022 წელს დამფუძნებლებთან სესხის ხელშეკრულებების შედეგად შეღავათიანი პროცენტით მიღებული სარგებლის ოდენობას (888,119 ლარი). დამფუძნებლებისგან პროცენტის შეღავათის გამო მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა, ისევე, როგორც რესტრუქტურიზებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, აღიარდა კაპიტალში სხვა რეზერვის მუხლში.

20. წინა პერიოდის შეცდომა

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოაჩინა მექანიკური შეცდომა, ფორვარდული კონტრაქტის რეალური ღირებულება შეცდომით დათვლილი იყო როგორც აქტივი, ნაცვლად ვალდებულებისა. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეესწორებინა შესადარისი ინფორმაცია შემდეგ მუხლებზე:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2021	კორექტირება	31 დეკემბერი 2021 კორექტირებული
სხვა აქტივები	6,873,164	(241,971)	6,631,193
სხვა ვალდებულებები	1,242,159	241,971	1,484,130
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	-	(241,971)	(241,971)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება, წმინდა	343,598	(241,971)	101,627

მოცემულ შეცდომას ეფექტი ჰქონდა მხოლოდ 2021 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით მონაცემებზე.

21. პოტენციური ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

2018 წლის 5 ივლისს სებ-ის პრეზიდენტმა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპანია სრულად აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს 2022 წლის ბოლო. 2021 წლის ბოლოს დაკმაყოფილებული იყო ყველა მოთხოვნა, გარდა კოეფიციენტებისა - საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი და ლიკვიდობის კოეფიციენტი. კომპანიამ სებ-სიგან მიიღო პატიების წერილი, რომლის თანახმადაც კომპანია ვალდებული იყო 2022 წლის 31 დეკემბრამდე დაეკმაყოფილებინა აღნიშნული კოეფიციენტი. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პირობების დაკმაყოფილების შესახებ მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე და შესაძლოა განსხვავდებოდეს მარეგულირებლის მსჯელობისაგან.

21. პოტენციური ვალდებულები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ორგანიზაციის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ორგანიზაციის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე" წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მფლობელები	უმაღლესი მენეჯმენტი	მთლიანი ჯამი ფანასური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
მიღებული სესხები	1,067,050	-	**14,848,271**
სუბორდინირებული სესხები	3,006,470	-	**3,006,470**
საპროცენტო ხარჯი	(200,768)	-	**(3,646,900)**
პერსონალის ხარჯი, ხელფასისა და ბონუსების ჩათვლით	-	248,420	**(2,699,597)**

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მფლობელები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	მთლიანი ჯამი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
მიღებული სესხები	3,462,350	-	**19,172,428**
საპროცენტო ხარჯი	(311,673)	-	**(2,863,090)**
პერსონალის ხარჯი, ხელფასისა და ბონუსების ჩათვლით	-	(506,953)	**19,172,428**

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის იანვარში კომპანიამ განაახლა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობა უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან. შეთანხმების მიხედვით, თითოეული კრედიტორი, თანახმაა დაუწესოს კომპანიას გადასახდელი პროცენტი 1%-ის ოდენობით 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რის შემდეგაც გადასახდელი პროცენტი განისაზღვრება, როგორც თავდაპირველი ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის დაფარვის ვადის ბოლომდე.

2023 წლის აპრილში კომპანიამ სს „საქართველოს ბანკთან" გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 500,000 ლარის ოდენობით.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-ის შესაბამისად კომპანია თავის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ბიზნეს მოდელზე დაყრდნობით. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ვალდებულებები კი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა წარმოებული ფინანსური აქტივებისა.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნესმოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნესმოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია FVTPL-ში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ კომპანიამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანიამ აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც FVTPL, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება (ე.ი. ამოღებულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ECL -ის საფუძვლები

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან FVOCI-ი.

ფასს 9 მოთხოვნები გაუფასურებაზე არ ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

1 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

ბიზნეს საქმიანობის პროფილი	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
აგრო სესხები	0-30	31-90	>90
ბიზნეს სესხები	0-30	31-90	>90
სამომხმარებლო სესხები	0-30	31-90	>90
სალომბარდო სესხები	0-30	31-90	>90

კომპანია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) სესხის რესტრუქტურიზება;
გ) მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
დ) მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
ე) მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
ვ) მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;
ზ) ბიზნესის იმ სექტორის მნიშვნელოვანი გაუარესება, სადაც საქმიანობს მსესხებელი.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

ა) ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

რესტრუქტურიზებული სესხები არ ბრუნდებიან 1-ელ ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მათი დაბრუნება შესაძლებელია წინა ეტაპებზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
გ) უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დ) მსესხებლის ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

კომპანია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

გაცემული სესხის რესტრუქტურიზება

რესტრუქტურიზაციის ოპერაცია/ტრანზაქცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში. კომპანიასა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და პროგრამულად იმავე სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება (გადაანგარშება).

კომპანიისათვის სესხის რესტრუქტურიზაცია რისკის ცვლილების მაჩვენებელია. რესტრუქტურიზებული სესხები არ ექვემდებარება პირდაპირ მე-3 სტადიაში გადაყვანას, რადგან ასეთი ტიპის მოდიფიკაციები არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან. შესაბამისად, რესტრუქტურიზებული სესხები მე-2 სტადიაში ხვდება და პირველ სტადიაში აღარ ბრუნდება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიაირების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

არ არსებობს არასასურველი არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების ზარალი 12 თვიანი PD-დან არსებობის მანძილის PD-ზე გადასვლის დროს.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

კომპანიამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშნველოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

საპროგნოზო ინფორმაციის განჭვრეტა

კომპანია ბოლო 4 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ყოველწლიურად აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.3-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ამათგან საბაზო სცენარს ანიჭებს 50%-ან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს 25%-ან ალბათობებს. კომპანია იყენებს ვასიჩეკის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას, მოსალოდნელი დეფოლტის დაანგარიშების დროს.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 4 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი კალათიდან მეორე კალათაში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

კალათი	ვადაგადაცილებული დღეები	რესტრუქტურიზაციის სტატუსი	ეტაპი
1	დახურული		
2	0	არა	I
3	1-30	არა	I
4	31-60	არა	II
5	61-90	არა	II
6	0-90	დიახ	II
7	>90	დიახ	III
8	>90	არა	III

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 4 წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დადგენისას ასევე გასათვალისწინებელია უზრუნველყოფის საგნიდან და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა საშუალებებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ან გაკოტრების პროცესიდან მოსალოდნელ თანხებს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე, სადაც შესაძლებელია, ქონების რეალიზაციისთვის საჭირო დროს და მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა. უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით დავალიანების ამოღება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე განიხილება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გაანგარიშებისას.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში.

მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს). დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად". კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნეს მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები".

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოდიფიკაცია

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მხარეთა შეთანხმებით გადასინჯვის შემთხვევაში, ან რაიმე სხვა გზით მოდიფიცირდებისას (თუ მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას) კომპანია ახდენს ფინანსური ვალდებულების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების ხელახლა გადათვლას და მოგებაში ან ზარალში აღიარებს მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს. კომპანია ფინანსური ვალდებულების მთლიან (ბრუტო)საბალანსო ღირებულებას ხელახლა ითვლის, როგორც გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას, რომელიც დისკონტირებულია მოცემული ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან საკრედიტო რისკით კორექტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით - შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური ვალდებულებებისთვის).

კომპანია ნებისმიერი გაწეული დანახარჯით ან გადახდილი საკომისიოთი აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებას უკეთებს მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

კომპანია მოდიფიკაციის ეფექტის განსასაზღვრად , არის თუ არა ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა აუცილებელი, იყენებს 10% იან ტესტს. ძველი ფინანსური ვალდებულების დადისკონტირებულ მომავალ გადასახდელების მიმდინარე ღირებულებას ადარებს ახალი ფინანსური ვალდებულების მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულებას . თუ მიმდინარე ღირებულებებს შორის სხვაობა 10% ზე ნაკლებია, მაშინ კომპანია მიიჩნევს, რომ ცვლილება მოდიფიკაციაა და არ საჭიროებს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქებია:

- **დონე 1**: მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები;
- **დონე 2**: სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3**: ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდ ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდის კონტრაქტებსა და სავალურო სვოპ-ოპერაციებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემ-დგომ, კომპანია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპრო-ცენტო განაკვეთის გამოყენებით.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სხვა რეზერვი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივ აქციებისა და ოპციონების გამოშვებასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯები აკლდება კაპიტალს, ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

როდესაც სააქციო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ღირებულებასა (ნომინალური ღირებულება) და რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში.

სხვა რეზერვი შედგება სარგებლისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო დამფუძნებლებისგან სესხის რესტრუქტურიზაციის შედეგად შემცირებული საპროცენტო განაკვეთის, ასევე სასესხო ვალდებულებების პატიების შედეგად. შემცირებული საპროცენტო განაკვეთის შედეგად მიღებული სარგებელი წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის.

ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში.

გირაოში დარჩენილი აქტივები

გირაოში დარჩენილი აქტივები მოიცავს არაფინანსურ აქტივებს, რომელიც კომპანიამ მიიღო ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. ამ აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი

აღრიცხვა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. გირაოში დარჩენილი აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია მარაგებად, შეფასებულია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შეძენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
იჯარის კეთილმოწყობა	3-9
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3-7
კომპიუტერები და კომუნიკაცია	2-7
მანქანები	5
არამატერიალური აქტივები	7-10

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

საპროცენტო შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებთ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პუნქტში „საპროცენტო შემოსავლის აღიარება".

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც ბანკი მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება.

იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ბანკის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის“ საქმიანობის მიმოხილვა, ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა 54

2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი 54

3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა 57

4. ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები 58

5. კვლევებისა და განვითარების ღონისძიებები 60

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა 60

7. ძირითადი რისკები და მართვა 60

8. დაფინანსების სტრუქტურა 62

9. განვითარების გეგმები 63

1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის“ საქმიანობის მიმოხილვა, ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 12 სექტემბერს თბილისში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206238800.

კომპანიას ზედამხედველობს საქართველოს ეროვნული ბანკი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის საფუძველზე. კომპანია სრულად იზიარებს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მცირე მეწარმეების დაფინანსება მათზე მორგებული პროდუქტებით და გულისხმობს მიკრო სესხების გაცემას, რომლის ზედა ზღვარიც 2017 წლის დეკემბრიდან განისაზღვრება 100,000 ლარით. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანსა და კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტებული გუნდის მომსახურებას. ფინანსური პროდუქტებია: აგრო, ბიზნეს და სამომხმარებლო სესხები (ნაკლები კონცენტრაციით). კომპანიის მიზანია, გაიმყაროს პოზიციები საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარზე როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ეფექტიანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა.

სს „ქართული კრედიტი“ 2014 წლიდან ეყრდნობა კორპორაციული მართვის პრინციპებს, რაც შემუშავებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით და ეფუძნება კორპორაციული მართვის საუკეთესო გამოცდილებას.

სს „ქართული კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიულ მართვასა და დასახული სტრატეგიული მიზნების აღსრულების მონიტორინგზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, საიდანაც მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სათანადო ფუნქციონირებას.

<u>სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2022 წლის მდგომარეობით არიან:</u>

- დოქტორი იორგ ვულფკენი;- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
- ნანა მიქაშავიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე;
- ედდა შრიოდერი;
- თომას შიფლერი;
- კონსტანტინე სულამანიძე;
- გიორგი ნასყიდაშვილი.

სს „ქართული კრედიტის“ გენერალური დირექტორი 2022 წლის განმავლობაში იყო გიორგი სამადაშვილი.

სს „ქართული კრედიტი“ 2006 წლიდან ფუნქციონირებს ბაზარზე. 2022 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა კონტრაქტორების გარეშე საშუალოდ შეადგენს 99-ს (2021: 103).

2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სანდრო ეულის ქ. N 7, სათაო ოფისი მდებარეობს ამავე მისამართზე, სანდრო ეულის ქ. N 7.

2022 წელს სს მისო ქართული კრედიტი ოპერირებდა 7 ფილიალით (2021: 7 ფილიალი), რისი უმეტესი ნაწილიც რეგიონებშია წარმოდგენილი. 2022 წლის დეკემბერში კომპანიამ დახურა ბოლო დარჩენილი ურბანული ფილიალი (ვარკეთილი), რითაც დაასრულა ურბანული ბაზრებიდან გამოსვლის სტრატეგიის განხორციელება.

კომპანიის საკრედიტო პორტფელი ისტორიულად გამოირჩევა აგრო და ბიზნეს სესხების მაღალი კონცენტრაციით. კომპანია ორიენტირებულია ახალი ბაზრების ათვისებასა და პორტფელის დივერსიფიკაციაზე. კომპანია მეწარმეებს სთავაზობს აგრო და ბიზნეს სესხებს მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ასევე, კომპანიას შემუშავებული აქვს და აქტიურად გასცემს ე.წ. მარტივ სესხებს საბრუნავი საშუალებების სწრაფად და მარტივად შესავსებად. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისა და ენერგოდამზოგი ინვესტიციების ხელშეწყობას.

2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი (გაგრძელება)

2022 წელს კომპანიამ დანერგა თანამედროვე სესხების გაცემის IT სისტემა, რომელიც ოქტომბერში ჩაეშვა მოხმარებაში. სისტემა ხელს უწყობს როგორც დაკრედიტების პროცესის სისწრაფეს და ეფექტურობას, ასევე უზრუნველყოფს შეყვანილი მონაცემების გადამოწმებას და ანგარიშგების სისწორეს. სისტემა ინტეგრირებულია სხვადასხვა გარე მონაცემთა ბაზებთან, როგორებიცაა კრედიტ-ინფო და საჯარო რეესტრი, რაც ავტომატურს ხდის მონაცემთა კომპანიის სისტემაში და მნიშვნელოვნად ამცირებს სესხის განაცხადის დამუშავების დროს. ამავდროულად მაქსმალურად მცირდება განაცხადის შევსებისას ადამიანური შეცდომის დაშვების ალბათობა.

<u>არსებულ პროდუქტებზე პირობები შემდეგნაირია:</u>

აგრო სესხი:
სესხის თანხა - 1,000 – 100,000 ლარამდე;
ვადიანობა - 60 თვემდე;
სესხის ვალუტა - ლარი.

ბიზნეს სესხი:
სესხის თანხა - 1,000 – 100,000 ლარამდე;
ვადიანობა - 60 თვემდე;
სესხის ვალუტა - ლარი.

სამომხმარებლო სესხი:
სესხის თანხა - 500 – 100,000 ლარამდე;
ვადიანობა - 60 თვემდე;
სესხის ვალუტა - ლარი.

მარტივი სესხი (ქვე-პროდუქტი):
სესხის თანხა - 500 – 5,000 ლარამდე;
ვადიანობა - 24 თვემდე;
სესხის ვალუტა - ლარი.



CAGR ფორმულა = 2022 წლის საბოლოო ბალანსი შეფარდებული 2015 წლის საწყის ბალანსთან აყვანილი 1/7. (პერიოდი)

2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი (გაგრძელება)

2022 წელს კომპანია ძირითადად გასცემდა მცირე, 10,000 ლარამდე ოდენობის სესხებს, რაც გამოწვეული იყო ლარის სწრაფი გამყარებით შექმნილი ლიკვიდობის ნაკლებობით - კომპანიის მიერ მოზიდული სახსრების აბსოლუტური უმრავლესობა დოლარსა და ევროშია დენომინირებული. შესაბამისად, კომპანიის სასესხო პორტფელი არ გაზრდილა და განიცადა 10%-მდე შემცირება. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეძლო საშუალო შეწონილი პროცენტის ბაზარზე უფრო მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება, რამაც დააბალანსა პორტფელის შემცირებით გამოწვეული საპროცენტო და საკომისიო შემოსავლების კლება.

2021 წელს საკრედიტო პორტფელის შემცირება გამოწვეული იყო კომპანიის მიერ საერთაშორისო ფონდებიდან მოზიდული სახსრების ხელშეკრულებების რესტრუქტურიზაციით. რესტრუქტურიზაცია მოიცავდა დარჩენილი ვალდებულებების 28%-ის წინსწრებით დაფარვას, რაც კომპანიამ წარმატებით განახორციელა, პორტფელიდან ამოღებული თანხების ხარჯზე.



საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტის წილი პროგრესულად მცირდება 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც დედოლარიზაციის ინიციატივა შევიდა ძალაში. 2022 წლის ბოლოს ის 2%-იან ნიშნულზე დაფიქსირდა

2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი (გაგრძელება)



2021 წელს შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, კომპანია 2022 წელს კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობდა აგრო მიმართულების დაფინანსებას. ეს სექტორი გამოირჩეოდა მდგრადობით ბოლო წლების განმავლობაში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე. შედეგად, 2022-ში აგრო სესხების წილი პორტფელში შეადგენს 58%.

3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა

სს „ქართული კრედიტის" მისიაა ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე მეწარმეებს ბიზნესის განვითარებაში და შედეგად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. კომპანიის მიზანია საზოგადოების დაბალშემოსავლიანი ნაწილის მხარდაჭერა, მათი ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და კეთილსინდისიერი მომსახურება. კომპანიის ბიზნეს მოდელი სრულად ეფუძნება სოციალურ პასუხისმგებლობას, ჭარბვალიანობის პრევენციას, კეთილსინდისიერ მომსახურებას. კომპანია აერთიანებს კვალიფიციურ და მოტივირებულ თანამშრომელთა გუნდს, რაც საბოლოო ჯამში ხარისხიან და ეფექტურ მომსახურებას განაპირობებს. 2015 წლიდან სს „ქართული კრედიტი" კლიენტთა დაცვის პრინციპებს (SMART Campaign) იზიარებს.

კომპანიის ღირებულებებია:

- პასუხისმგებლიანი დაკრედიტება
- სოციალური პასუხისმგებლობა
- პროფესიული ზრდა

4. ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები



პორტფელის საშუალო შეწონილი განაკვეთი 2022 წელს ინარჩუნებს სტაბილურობას და მცირედით აღემატება ბაზარზე არსებულ შესაბამის მაჩვენებელს.

საპროცენტო განაკვეთები აღებულია ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით.
https://www.nbg.gov.ge/index.php?m=743



საპროცენტო შემოსავლები დათვლილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით და მოიცავს როგორც საპროცენტო სარგებელს, ასევე გაცემულ სესხთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. 2022 წელს შემოსავლის შემცირება გამოწვეული იყო ლიკვიდობაზე შეზღუდული წვდომის ფონზე სასესხო პორტფელის შემცირებით.

4. ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)



2022 წელს კომპანიამ მოახდინა ჯამურად 2.4 მილიონი ლარის ოდენობით ვადაგადაცილებაში მყოფი სესხების და დარიცხული პროცენტის ჩამოწერა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის საბოლოო შედეგზე.



4. ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)



შემცირებული საპროცენტო შემოსავლების ფონზე კომპანიამ ჩაატარა ხარჯების შემცირებისკენ მიმართული რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და სტრუქტურული რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია პერსონალის, საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების შენარჩუნება წინა წლის მაჩვენებლებთან ახლოს.

5. კვლევებისა და განვითარების ღონისძიებები

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა 2022 წელს არ განხორციელებულა.

7. ძირითადი რისკები და მართვა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულმა კრედიტმა" შეიმუშავა ძირითადი რისკების მართვის ეფექტიანი და გამართული პოლიტიკა, რაც მაქსიმალურად ამცირებს რისკს და დადებითად მოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

საკრედიტო რისკი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" საქმიანობიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანია იყენებს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებას, მათ ეფექტურად მართვას და მოიცავს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- საკრედიტო კომიტეტის დავალებები;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- ისეთ სესხებთან მუშაობა, რომელთა სახელშეკრულებო პირობები დაირღვა.

7. ძირითადი რისკები და მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სასესხო პროექტის ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დაკრედიტების შესახებ. დაფინანსებაზე გადაწყვეტილება მიიღება არსებული და სტატისტიკური მონაცემების შეფასებით, პოტენციური რისკისა და ფინანსების შედეგად მიღებული ეფექტიანობის გათვალისწინებით.

სქორინგ სისტემა

კომპანიის მიერ შემუშავებულია სპეციალური საკრედიტო სქორინგ სისტემა, რაც ეფუძნება კრედიტ ინფოს რეიტინგს, სწრაფი და ეფექტური დაკრედიტების მიზნით. სქორინგ სისტემა ამარტივებს ბიზნესის შეფასების პროცესს და ეხმარება შესაბამის პასუხისმგებელ პირს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

უზრუნველყოფის შეფასება

2022 წელს კომპანიამ გააფორმა კონტრაქტი ბაზარზე არსებულ ერთერთ მსხვილ ფირმასთან, რომელიც თანამედროვე სტანდარტების სრული დაცვით აფასებს უძრავ ქონებას. გარე კომპეტენციის გამოყენება კომპანიას ხელს უწყობს საკრედიტო რისკების უკეთ შეფასებასა და შემცირების კუთხით.

საკრედიტო პორტფელის ხარისხის მონიტორინგი

2021 წელს კომპანიაში შეიქმნა საკრედიტო პორტფელის ხარისხის მონიტორინგის მენეჯერის პოზიცია. მისი მოვალეობაა, კომპანიის ფილიალების ყოველკვარტალური შემოწმება, საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრული პროცესებისა და პროცედურების დაცვის კუთხით.

მიღებული სესხების რესტრუქტურიზაცია და ფინანსური შეზღუდვების დაკმაყოფილება

კომპანიამ 2021 წელს ყველა მიღებულ სესხზე გააფორმა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კომპანიის მეწილეების ჩვეულებრივი და სუბორდინირებული სესხები 3,690,935 ლარის ოდენობით გადაკონვერტირდა კაპიტალში.

ასევე რესტრუქტურიზაციის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები მიღებულ სესხებში:

- ყველა არა-სუბორდინირებული სასესხო ვალდებულებების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 40%-ით 2021 წლის აპრილიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე;
- კომპანიამ თითოეულ მსესხებელს ნაადრევად დაუფარა 2020 წლის 31 დეკემბერს არსებული გადაუხდელი თანხის 28%-ის ოდენობა;
- თითოეული სესხის დარჩენილი ძირითადი თანხების დაფარვა (წინა პუნქტში არსებული დაფარვის მიხედვით) განახლდება 2024 წლის ივნისში და უნდა დაფაროს 2025 წლის 31 მარტამდე.

2023 წლის იანვარში კომპანიამ განაახლა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობა უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან. შეთანხმების მიხედვით, თითოეული კრედიტორი, თანახმაა დაუწესოს კომპანიას გადასახდელი პროცენტი 1%-ის ოდენობით 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რის შემდეგაც გადასახდელი პროცენტი განისაზღვრება, როგორც თავდაპირველი ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის დაფარვის ვადის ბოლომდე.

7. ძირითადი რისკები და მართვა (გაგრძელება)

ფინანსური შეზღუდვები

რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით, კომპანიას აქვს რამდენიმე ფინანსური შეზღუდვა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი
- ხარჯებისა და შემოსავლების კოეფიციენტი
- უმოძრაო სესხების კოეფიციენტი
- არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის კოეფიციენტი

2022 წლის ბოლოს ბოლო მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა უმოძრაო სესხებისა და არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის კოეფიციენტებს, ხოლო კაპიტალის ადეკვატურობისა და ხარჯების და შემოსავლების კოეფიციენტებზე მოპოვებული ქონდა პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილები ყველა მსესხებლისგან. 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა ყველა აღნიშნულ კოეფიციენტს.

საოპერაციო რისკი

სს „მისო ქართული კრედიტი“ იყენებს დახვეწილ საბანკო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემას. კომპანიაში ALTA დაინერგა 2018 წელს და მას შემდეგ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს გამართულ, მოქნილ და ეფექტიან დაკრედიტების სრულ ციკლს.

2022 წელს ამას დაემატა სესხების გაცემის სისტემა SOFTGEN, რომელიც ამცირებს სესხის გაცემისთვის საჭირო დროს, ავტომატურს ხდის პროცესის დიდ ნაწილს და უზრუნველყოფს ანგარიშგებისთვის და საკრედიტო სქორინგისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობას

სავალუტო რისკი

კომპანიას შემუშავებული აქვს ღია სავალუტო პოზიციის მართვის კონსერვატიული სტრატეგია, რათა მაქსიმალურად აარიდოს თავი სავალუტო რისკებს. სავალუტო რისკის მინიმიზაციის მიზნით სს „ქართული კრედიტი“ საკურსო ზარალის შესამცირებლად სხვადასხვა ინტრუმენტებს იყენებს, როგორიცაა, მაგალითად, სავალუტო კონტრაქტები. საშუალო სავალუტო რისკი ბოლო 2 წელიწადში დაფიქსირდა **+/-20 %,**

8. დაფინანსების სტრუქტურა

2014 წლიდან სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტს“ საერთაშორისო კრედიტორები აფინანსებენ. კომპანიის მთლიანი დაფინანსება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა 13.66მლნ და 16.14 მლნ ლარს, შესაბამისად. აქედან დაფინანსების ძირითად წყაროს, საერთაშორისო ფონდები წარმოადგენენ. 2022 წელს ამ მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გამყარებით ევროსა და დოლართან მიმართებაში. კომპანიის სტრატეგიაა საერთაშორისო ინსტიტუციური მსესხებლების დივერსიფიკაცია, რაც განაპირობებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას.

8. დაფინანსების სტრუქტურა (გაგრძელება)

დაფინანსების სტრუქტურა:



9. განვითარების გეგმები

სს „მისო ქართული კრედიტის" მიერ 2020 წლის ბოლოს წარდგენილი სტრატეგიის საფუძველზე 2021 წლის გაზაფხულზე შედგა შეთანხმება ქართულ კრედიტსა და მის ინსტიტუციონალურ და არაინსტიტუციონალურ კრედიტორებს შორის სასესხო ვალდებულებების 2024 წლის ზაფხულამდე გადავადებასთან დაკავშირებით. ამასთანავე კრედიტორებმა 40% პროცენტით შეამცირეს მათი საწყისი საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის ბოლომდე. 2023 წლის დასაწყისში აღნიშნული შეთანხმება გაგრძელდა კიდევ ერთი წლით და საპროცენტო განაკვეთი საერთაშორისო ფონდებისგან მოზიდულ მოზიდულ სესხზე შემცირდა 1%-მდე. აღნიშნული შეთანხმება გრძელვადიანად ამყარებს ქართული კრედიტის ფინანსურ სტაბილურობას და ამავე დროს ამსუბუქებს საპროცენტო ხარჯის ტვირთს.

<u>დასაკუთრებული ქონების გაყიდვა</u>

2022 და მომდევნო წლებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დასაკუთრებული ქონების გაყიდვის აგრესიული გეგმა. ხელმძღვანელობის შეფასებით, პანდემიით გამოწვეული რამდენიმე შეზღუდვის გაუქმება (მაგალითად, გამოსახლებებზე არსებული აკრძალვის მოხსნა) დაეხმარება კომპანიას, გაზარდოს გაყიდვები, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ზეწოლას როგორც კომპანიის ლიკვიდობის მაჩვენებელზე, ასევე კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტზე. 2022 წელს კომპნაიამ გადაჭარბებით შეასრულა აღნიშნული გეგმა და 2023 წლის პირველ თვეებშიც სტაბილურად მიყვება უძრავი ქონების გაყიდვის ამბიციურ გეგმას.

<u>ახალი სასესხო პროდუქტების დანერგვის შეფასება</u>

2023 წელს კომპანია გეგმავს ახალი სასესხო პროდუქტების დამატების შესაძლებლობის კვლევას. კომპანიის სტრატეგიული მიზანია, სრულად უზრუნველყოს კლიენტების სამიზნე სეგმენტი ფინანსური მომსახურებით, რისთვისაც განიხილავს შეთავაზებული პროდუქტების პორტფელის გამრავალფეროვნებას. აღნიშნული კვლევა ჩატარდება 2023 წლის მეორე კვარტალში.

9. განვითარების გეგმები (გაგრძელება)

<u>მიმდინარე და დასრულებული პროექტები</u>

- 2022 წლის ოქტომბერში სს „ქართულმა კრედიტმა“ დაასრულა თანამედროვე სასესხო აპლიკაციების სისტემის (Loan Origination Software) დანერგვა. აღნიშნული სისტემა სრულიად აციფრულებს კლიენტის და სესხის შესახებ კომპანიაში არსებული ინფორმაციას და ამცირებს მცირე სესხების დამუშავების დროს. გარდა ამისა, სისტემის დახმარებით კომპანიის სასესხო ოფიცრებს შეუძლიათ უშუალოდ კლიენტის ბიზნესის ადგილზე ყოფნისას განაცხადების შევსება და რეგისტრაცია.

- 2021 წლის შემოდგომიდან კომპანიამ დაიქირავა გამოცდილი სტატისტიკოსი, რომელიც მუშაობს შიდა სქორინგის მოდელის შექმნაზე. აღნიშნული მოდელი დაეხმარება კომპანიას უფრო ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებაში, ვიდრე ეს მხოლოდ საკრედიტო ბიუროს მიერ მოწოდებული სქორინგით არის შესაძლებელი. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, მოდელი მზად არის და მიმდინარეობს მისი პროგრამული ინტეგრირება სესხებების გაცემის სისტემასთან. შიდა სქორინგი სრულად ჩაეშვება მოხმარებაში 2023 წლის მესამე კვარტალში.

მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 14 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გიორგი სამადაშვილი

9. განვითარების გეგმები (გაგრძელება)

<u>მიმდინარე და დასრულებული პროექტები</u>

- 2022 წლის ოქტომბერში სს „ქართულმა კრედიტმა" დაასრულა თანამედროვე სასესხო აპლიკაციების სისტემის (Loan Origination Software) დანერგვა. აღნიშნული სისტემა სრულიად აციფრულებს კლიენტის და სესხის შესახებ კომპანიაში არსებული ინფორმაციას და ამცირებს მცირე სესხების დამუშავების დროს. გარდა ამისა, სისტემის დახმარებით კომპანიის სასესხო ოფიცრებს შეუძლიათ უშუალოდ კლიენტის ბიზნესის ადგილზე ყოფნისას განაცხადების შევსება და რეგისტრაცია.

- 2021 წლის შემოდგომიდან კომპანიამ დაიქირავა გამოცდილი სტატისტიკოსი, რომელიც მუშაობს შიდა სქორინგის მოდელის შექმნაზე. აღნიშნული მოდელი დაეხმარება კომპანიას უფრო ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებაში, ვიდრე ეს მხოლოდ საკრედიტო ბიუროს მიერ მოწოდებული სქორინგით არის შესაძლებელი. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, მოდელი მზად არის და მიმდინარეობს მისი პროგრამული ინტეგრირება სესხებების გაცემის სისტემასთან. შიდა სქორინგი სრულად ჩაეშვება მოხმარებაში 2023 წლის მესამე კვარტალში.

მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 14 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი — გიორგი სამადაშვილი